*დანართი*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

თავმჯდომარე: ზაზა ცოტნიაშვილი, შპსკავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

**წევრი:**

ეკატერინე ბაკარაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

Click here to enter text.

თბილისი
2026

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

## ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| სახელწოდება | სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | სსიპ |
| სახე | უნივერსიტეტი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 231187168 |
| ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა) | ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1 ქ. თელავი, 2200, საქართველო |
| ვებ-გვერდი | http://www.tesau.edu.ge/ |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | ავტორიზებული |
| გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი | 20.09.2024 MES 4 24 0001299615 |
| ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი | 20.09.2030 |

### რაოდენობრივი მაჩვენებლები

### პროგრამები[2]

| | |
|---|---|
| **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | 28 |
| ბაკალავრიატი | 14 |
| მაგისტრატურა | 7 |
| ერთსაფეხურიანი | 1 |
| დოქტორანტურა | 2 |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | 1 |
| ქართულ ენაში მომზადების | 1 |
| აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა | |
| საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა | |
| ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3] | 2 |
| გაცვლითი პროგრამების რაოდენობა | |

### სტუდენტები

| სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|
| | აქტიური | შეჩერებული | პროგრამის დასრულების მაჩვენებელი |
| სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა | 1377 | 1421 | 319 |
| ბაკალავრიატი | 1088 | 1209 | 215 |

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

| | | | |
|---|---|---|---|
| მაგისტრატურა | 75 | 89 | 34 |
| ერთსაფეხურიანი | 149 | 46 | 19 |
| დოქტორანტურა | 20 | 28 | 6 |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | 42 | 38 | 42 |
| ქართულ ენაში მომზადების პროგრამა | 3 | 11 | 3 |
| უცხოელი სტუდენტების რაოდენობა | | | |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა | | | |

## პერსონალი

| **მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ** | |
|---|---|
| უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) | |
| **სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 73 |
| - პროფესორი | 20 |
| - ასოცირებული პროფესორი | 44 |
| - ასისტენტ პროფესორი | 8 |
| - ასისტენტი | 1 |
| **სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა** | |
| - მეცნიერი | |
| - პოსტდოქტორანტი | |
| **სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 71 |
| - აფილირებული პროფესორი | 18 |
| - აფილირებული ასოცირებული პროფესორი | 44 |
| - აფილირებული ასისტენტ პროფესორი | **8** |
| - აფილირებული ასისტენტი | 1 |
| სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | |
| კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | |
| სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი | 57 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი | 85 |

## შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

| | |
|---|---|
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 18438,95 |
| დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 4394,77 |
| დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 14044,18 |

## მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

| |
|---|
| **აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**<br><br>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 01 აპრილის ბრძანების №MES 8260000390256 თანახმად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2026 წლის 16 მარტს №315604 და №316181 წერილებით წარმოდგენილი ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 19 იანვრის №6990 გადაწყვეტილებაში ასახულ გარემოებებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შემოწმების მიზნით მიმდინარე წლის 24 აპრილს განახორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ონლაინ ვიზიტი სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. თელავში.<br><br>კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შესაბამისობა ავტორიზაციის საბჭოს გაცემულ 9 რეკომენდაციასთან მიმართებით; რეკომენდაციები განისაზღვრა 2025 წლის 10-11 ნოემბერს უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში;<br>ვიზიტის განხორციელებამდე დაწესებულების მიერ მოწოდებული იყო თვითშეფასების ანგარიში და მისი თანდართული დოკუმენტაცია; ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა.<br><br>**არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით**<br>ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია (დაწესებულების №9578277, 15/05/2026), და ადასტურებს, რომ ვერ ცვლის ჯგუფის მიერ საბოლოო დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებას, რადგან უსდ თავადაც აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით გაწულია მუშაობა, მაგრამ ბოლომდე არ არის დასრულებული. |
| **მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**<br><br>☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________<br><br>☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________<br><br>☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება |

შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში

შეფასების განხორციელების თარიღი: 2026 წლის 24 აპრილი

| უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია): | აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით: |
|---|---|
| **2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს მექანიზმები, რომლის ფარგლებში პერიოდულად განხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ზედამხედველობა.** | უნივერსიტეტში შემუშავდა და დამტკიცდა ცვლილებები შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში, რომლის თანახმადაც აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, პერიოდულად განახორციელონ შიდა აუდიტის სამსახურის გეგმიური ან არაგეგმიური მონიტორინგი – დაამტკიცონ მონიტორინგის გრაფიკი, მოითხოვონ შესაბამისი დოკუმენტაცია და ანგარიშები, და მიღებული დასკვნების საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები. ცვლილება ასახულია წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებაშიც. განახლებული მექანიზმი უზრუნველყოფს შიდა აუდიტის საქმიანობის შესაბამისობის, ეფექტიანობისა და კანონიერების სისტემურ შეფასებას.<br>**რეკომენდაცია შესრულდა.** |
| **2.2. რეკომენდებულია, გაიზარდოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტისა და კარიერული სერვისების პერსონალის რაოდენობა, რათა მათი საქმიანობა სრულად შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და უზრუნველყოფილ იქნას ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისების ეფექტური და ქმედითი მიწოდება.** | უნივერსიტეტში გამოცხადდა ვაკანსია და მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, 1 პირი დასაქმდა ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.<br>**რეკომენდაცია შესრულდა.** |
| **4.1.1 შრომითი ხელშეკრულების განახლების მიუხედავად, აუცილებელია ზუსტად და ამომწურავად იყოს** | უნივერსიტეტში მომზადდა შრომითი ხელშეკრულებების განახლებული სტანდარტული ფორმები, დეტალურად |

| | |
|---|---|
| განსაღვრული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და სამუშაო აღწერილობა. | განისაზღვრა დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა, ჩამოთვლილია ხელშეკრულების შეწყვეტის ყველა შესაძლო საფუძველი შესაბამისი წინასწარი შეტყობინებისა და კომპენსაციის ვადებით. ხელშეკრულებები ასევე არეგულირებს დასაქმებულის უფლება-მოვალეობებს, სამუშაო/დასვენების დროს, შრომის ანაზღაურებას, ზეგანაკვეთურ სამუშაოს და შვებულებას.<br>რეკომენდაცია შესრულდა. |
| 4.1.2. აუცილებელია მუდმივ რეჟიმში იქნას უზრუნველყოფილი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები და იგი მოიცავდეს ფართო სპექტრს. | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა „პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების 2026 წლის გეგმა", რომელიც მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს. წინა პერიოდში უკვე განხორციელებული ტრენინგების ციკლი ადასტურებს აქტივობების უწყვეტ რეჟიმში წარმართვას.<br>რეკომენდაცია შესრულდა. |
| 4.1.3. აუცილებელია თანამედროვე სწავლების მეთოდების შესახებ სასწავლო/საგანამანთლებლო ტრეინიგის ჩატარება და მისი საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში დანერგვა და ზედამხედველობა. | უსდ-მ 2025 წლის თებერვალ–მარტში ჩაატარა ტრენინგების ციკლი: „ინფორმაციის დაცვა და ციფრული ჰიგიენა“, „AI ტექნოლოგიების გამოყენება“, „სამოქმედო კვლევა“ და „STEAM კონცეფცია“. ტრენინგები დაიგეგმა ფაკულტეტების საჭიროებების მიხედვით [ზეპირი მოსმენა]. პროცესს კოორდინაციას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.<br>რეკომენდაცია შესრულდა |
| 6.2. უსდმ უზრუნველყოს ინტეგრირებული გეგმის ფორმალური დასრულება (სამეცნიერო, ბიზნეს, სამართლებრივი, პერსონალის ცნობიერების ამაღლება და ა.შ.) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სტრატეგიულ პრიორიტეტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი კომპონენტის გაძლიერება, რაც საყურადღებოა კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და | განახლდა „სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის დებულება“. დოკუმენტში გაიწერა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მექანიზმები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, პატენტირებისა და ლიცენზირების კუთხით.<br>რეკომენდაცია შესრულდა |

| | |
|---|---|
| ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის. | |
| 6.3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა ის პერსონალი, ვინც მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად, დადგინდეს ინდივიდუალური განვითარების გეგმას (IDP), სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი კონკრეტული აქტივობები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები, რათა განმავითარებელი რეაგირების შედეგები იყოს გაზომვადი და ანგარიშვალდებული. | ცვლილება შევიდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესში. განისაზღვრა IDP-ის შემუშავების ვალდებულება დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად, სადაც გაიწერება კონკრეტული აქტივობები და ვადები.<br><br>რეკომენდაცია შესრულდა |
| 7.1.1. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა შენობა და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აქტიურად გამოიყენება პერსონალისა და სტუდენტების მიერ, მოიცავდეს სრულად ადაპტირებულ საპირფარეშოებს, რათა მიღწეულ იქნას სრული ინსტიტუციური ინკლუზიურობა. | ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურის უმეტეს ნაწილში არსებობს ადაპტირებული წერტილები. ორ ფუნქციურ კორპუსში გარემო სრულად ადაპტირებულია. ბიბლიოთეკის შენობის სრული ადაპტაცია დაგეგმილია ეტაპობრივად, უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში.<br>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა |
| 7.1.2. დაიწყოს ადაპტირებული სპორტული პროგრამების კონცეფციის შემუშავება და ინკლუზიური ღონისძიებების (კლუბებისა და ორგანიზაციების ჩათვლით) დაგეგმვა, სადაც გათვალისწინებული იქნება დამხმარე საშუალებების (ჟესტური ენის თარჯიმნები, სუბტიტრები) ბიუჯეტირება, რათა ინფრასტრუქტურა მზად იყოს ახალი სივრცის ამოქმედებისთანავე. | უსდ-მ გააფორმა ხელშეკრულება „საქართველოს ყრუთა კავშირთან“ ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებაზე. დასრულდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია რის შემდეგაც იგეგმება ინკლუზიური სპორტული აქტივობების დანერგვა.<br><br>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა |

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

### რეკომენდაციები

### რჩევები

**7.1. მოხდეს შესაბამისი ფინანსური რესურების რაც შეიძლება დროული მოძიება, რომ არსებული მოთხოვნა ბოლომდე სრულყოფილად იქნას დაკმაყოფილებული.**

### საუკეთესო პრაქტიკა

### დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ის მისია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.2 | სტრატეგიული განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. | უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2 | ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. | საგანმანათლებლო პროგრამები **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლის შედეგების შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. | უსდ-ის პერსონალი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალის მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. | სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6. | კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.3 | საინფორმაციო რესურსები **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები **(არ შეფასებულა)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები**

1. ზაზა ცოტნიაშვილი (თავმჯდომარე)

2. ეკატერინე ბაკარაძე (წევრი)

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

### 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

**უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.**

| 1.1 უსდ-ის მისია |
|---|
| უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>**არ შეფასებულა** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** |

| |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **1.2 სტრატეგიული განვითარება** |
| ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).<br>○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.<br>○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

| 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა |
|---|
| ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.<br>○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.<br>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.<br>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **გაცემული რეკომენდაცია: 1.2.1.** რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს მექანიზმები, რომლის ფარგლებში პერიოდულად განხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ზედამხედველობა.<br><br>რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა ცვლილებები შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში, რომლის თანახმადაც აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს მიენიჭათ უფლებამოსილება და ვალდებულება, პერიოდულად განახორციელონ შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გეგმიური ან არაგეგმიური მონიტორინგი. დებულების განახლებული რედაქციის შესაბამისად (მუხლი 1, პუნქტი 5), აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები უფლებამოსილნი არიან: დაამტკიცონ გეგმიური მონიტორინგის გრაფიკი და განსაზღვრონ მისი პერიოდულობა; საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული გარემოებების არსებობისას განახორციელონ არაგეგმიური მონიტორინგი; მოითხოვონ შესაბამისი დოკუმენტაცია, ანგარიშები და განმარტებები; მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მოამზადონ დასკვნები და მიიღონ გადაწყვეტილებები.<br><br>ანალოგიური ცვლილება ასახულია წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებაშიც (მუხლი 3, პუნქტი „პ“), რომლის თანახმადაც წარმომადგენლობითი საბჭო ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გეგმიურ ან არაგეგმიურ მონიტორინგს, მათ შორის ამტკიცებს მონიტორინგის გრაფიკს და მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. ცვლილებები დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №2 ოქმით. ჩამოყალიბებული მექანიზმი უზრუნველყოფს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესაბამისობის, ეფექტიანობისა და კანონიერების სისტემურ |

შეფასებას, ზრდის ანგარიშვალდებულებას და აძლიერებს შიდა კონტროლის სისტემას. შესაბამისად, **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**გაცემული რეკომენდაცია: 1.2.2.** რეკომენდებულია, გაიზარდოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტისა და კარიერული სერვისების პერსონალის რაოდენობა, რათა მათი საქმიანობა სრულად შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და უზრუნველყოფილ იქნას ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისების ეფექტური და ქმედითი მიწოდება.

უნივერსიტეტში გამოაცხადდა ვაკანსია და მოქმედი კანონმდებლობის, აგრეთვე ინსტიტუციის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დასაქმდა 1 პირი ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. კერძოდ, საკონკურსო კომისიის 2026 წლის 20 თებერვლის №2 ოქმისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 23 თებერვლის №MES 3 26 0000208523 ბრძანების საფუძველზე ახალ პერსონალს გაუფორმდა შრომითი ხელშეკრულება №57 (2026 წლის 23 თებერვლიდან). პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ის კარგად იცნობს თავის უფლება-მოვალეობებს. აღნიშნული გადაწყვეტილება ასახავს უნივერსიტეტის მზადყოფნას, ეტაპობრივად გაზარდოს სამსახურის შესაძლებლობები და რესურსები, რათა მისი საქმიანობა სრულ თანხვედრაში იყოს ინსტიტუციის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში
- შიდა აუდიტის სამსახურის განახლებული დებულება (23.02.2026 წ. №2 ოქმი);
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №2 ოქმი;
- წარმომადგენლობითი საბჭოს დებულება (23.02.2026 წ. №2 ოქმი);
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 23 თებერვლის №MES 3 26 0000208523 ბრძანება კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ;
- საკონკურსო კომისიის 2026 წლის 20 თებერვლის №2 ოქმი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის 2026 წლის 19 თებერვლის №191147 ბრძანება ვაკანსიის გამოცხადების შესახებ.
- ხელშეკრულებები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

(არ შეფასებულა)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

| |
|---|
| ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.<br>○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 3. საგანმანათლებლო პროგრამები

**უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.**

| 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება |
|---|
| უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| ○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.<br>○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: |

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

(არ შეფასებულა)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4. უსდ-ის პერსონალი

**უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის**

**ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.**

| 4.1. პერსონალის მართვა |
|---|
| ○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.<br>○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br><br>**გაცემული რეკომენდაცია:** 4.1.1 შრომითი ხელშეკრულების განახლების მიუხედავად, აუცილებელია ზუსტად და ამომწურავად იყოს განსაღვრული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და სამუშაო აღწერილობა.<br>უნივერსიტეტში მომზადდა შრომითი ხელშეკრულებების განახლებული სტანდარტული ფორმები აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისთვის (ფორმა 1.2 - აკადემიური პერსონალისთვის; ფორმა 2.2 - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის). ახალი ფორმატი მნიშვნელოვნად დეტალიზებული და მოცულობითია და ამომწურავად განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, შრომითი ურთიერთობის ყველა არსებით პირობას, აგრეთვე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს.<br>კერძოდ, განახლებული ხელშეკრულებები (მუხლი 3) დეტალურად განსაზღვრავს დასაქმებულის სამუშაო აღწერილობას - მისთვის დაკისრებული თანამდებობრივი ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალს კონკრეტული აქტივობების დონეზე (მათ შორის: წლიური სამუშაო გეგმის შედგენა, პრიორიტეტების დასახვა, კონსულტაციების გაწევა, ანგარიშგება, კოორდინაცია, შრომის ბაზრის ანალიზი და სხვ.). ხელშეკრულების მუხლი 10 ამომწურავად აღწერს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებსა და პროცედურას, მათ შორის: ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებების გამო შემცირებას; შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლას; გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას; დასაქმებულის ინიციატივით ან თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით დატოვებას; მხარეთა წერილობით შეთანხმებას; დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობას; შრომის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსით დაკისრებული ვალდებულებების უხეშ დარღვევას; ხანგრძლივ შრომისუუნარობას; დასაქმებულის გარდაცვალებას ან ლიკვიდაციას და სხვა ობიექტურ გარემოებებს. მკაფიოდ არის განსაზღვრული წინასწარი წერილობითი შეტყობინების ვადები და კომპენსაციის ოდენობები.<br>ხელშეკრულებები ასევე დეტალურად არეგულირებს დასაქმებულის უფლება-მოვალეობებს (მუხლები 4-5), სამუშაო და დასვენების დროს (მუხლი 6), შრომის ანაზღაურებას (მუხლი 7), ზეგანაკვეთურ სამუშაოს (მუხლი 8) და შვებულებას (მუხლი 9). ახალი ფორმის ხელშეკრულებები განხილულ-დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №2 ოქმის №2 დადგენილებით, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა |

ძველი ფორმის ხელშეკრულებები, დამტკიცდა ახალი ფორმატი (დანართი 3-ის შესაბამისად) და დაევალა შესაბამისი სამსახურის უფროსს ახალი ხელშეკრულებების გაფორმება უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ახალ, დაზუსტებულ და დეტალიზებულ პირობებს და ეტაპობრივად გადადიან ახალ ხელშეკრულებებზე. შესაბამისად, **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**გაცემული რეკომენდაცია:** 4.1.2 აუცილებელია მუდმივ რეჟიმში იქნას უზრუნველყოფილი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები და იგი მოიცავდეს ფართო სპექტრს.
რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა „პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების 2026 წლის გეგმა", რომელიც ითვალისწინებს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული კომპეტენციების სისტემურ და უწყვეტ განვითარებას, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებისა და ინსტიტუციური მართვის პრაქტიკის დანერგვას და უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაძლიერებას.
გეგმა მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს - ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებსა და ვორქშოპებს, რომლებიც ხორციელდება წლის განმავლობაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით. გეგმაში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები: სასწავლო პროგრამების განვითარების ტრენინგი; თანამედროვე სწავლების მეთოდების ტრენინგი; აკადემიური კეთილსინდისიერების სემინარი; ელექტრონული სწავლების პლატფორმების გამოყენების ტრენინგი; კვლევითი უნარების განვითარების ვორქშოპი; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების ტრენინგი; საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ვორქშოპი; დროის მართვისა და პროფესიული განვითარების სემინარი ადმინისტრაციული პერსონალისთვის; ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის შესახებ სემინარი.
გეგმა დამტკიცებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2026 წლის 9 მარტის №5 ოქმით. დოკუმენტით უზრუნველყოფილია პერსონალის სისტემური და უწყვეტი პროფესიული განვითარება, ხოლო წინა პერიოდში უკვე განხორციელებული აქტივობების ციკლი - მათ შორის 2025 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული ტრენინგები „ინფორმაციის დაცვა და ციფრული ჰიგიენა", „AI ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში", „სამოქმედო კვლევა, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ინსტრუმენტი" და „STEAM კონცეფციის დანერგვა სწავლა-სწავლების პროცესში", ასევე აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები - ადასტურებს, რომ პროფესიული განვითარების აქტივობები ნამდვილად უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. შესაბამისად, **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**გაცემული რეკომენდაცია: 4.1.3**.აუცილებელია თანამედროვე სწავლების მეთოდების შესახებ სასწავლო/საგანამანთლებლო ტრეინიგის ჩატარება და მისი საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში დანერგვა და ზედამხედველობა.

უსდ-მ 2025 წლის თებერვალ–მარტში ჩაატარა ტრენინგების ციკლი: „ინფორმაციის დაცვა და ციფრული ჰიგიენა", „AI ტექნოლოგიების გამოყენება", „სამოქმედო კვლევა" და „STEAM კონცეფცია". ტრენინგები დაიგეგმა ფაკულტეტების საჭიროებების მიხედვით, რაც

| |
|---|
| დადასტურდა ზეპირი მოსმენისასაც. პროცესს კოორდინაციას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.<br>უნივერსიტეტში ტრენინგების ციკლი ხორციელდება შიდა სტრუქტურული ერთეულების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, მჭიდრო კოორდინაციით. კერძოდ, განხორციელდა ინტერდისციპლინური ტრენინგები ციფრული ჰიგიენისა და სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრირების მიმართულებით.<br>აღნიშნული აქტივობები პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან, რაც გულისხმობს:<br>• **ინოვაციური მეთოდოლოგიების დანერგვას:** აკადემიური პერსონალის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკულ ათვისებას.<br>• **ხარისხის სისტემურ გაუმჯობესებას:** სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერებას.<br>• **მდგრად განვითარებას:** პროფესიული განვითარების ღონისძიებების უწყვეტ რეჟიმში დაგეგმვას.<br>ტრენინგების შედეგად მიღებული ცოდნის ეტაპობრივი ასახვა სასწავლო პროცესში ადასტურებს დაწესებულების ორიენტაციას სწავლების ხარისხის მუდმივ ამაღლებასა და აკადემიური გარემოს მოდერნიზაციაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში<br>• შრომითი ხელშეკრულების განახლებული ფორმა 1.2 – აკადემიური პერსონალისთვის (2026 წ.);<br>• შრომითი ხელშეკრულების განახლებული ფორმა 2.2 – ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის (2026 წ.);<br>• გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნიმუში;<br>• წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №2 ოქმი;<br>• პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების 2026 წლის გეგმა;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2026 წლის 9 მარტის №5 ოქმი;<br>• 2025 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული ტრენინგების ამსახველი დოკუმენტაცია (https://tesau.edu.ge/);<br>• ინტერვიუს შედეგები<br>• გამოკითხვის შედეგები<br>• ტრენინგების ჩატარების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია<br>• ტრენინგებში მონაწილე პერსონალის დასწრების სია<br>• ინტერვიუს მასალები |

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა**

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

(არ შეფასებულა)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

**უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.**

| **5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები** |
|---|
| ○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.<br>○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი  მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის   მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

(არ შეფასებულა)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

**უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.**

| 6.1 კვლევითი საქმიანობა |
| --- |
| ○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.<br>○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.<br>○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br><br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| 6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია |
| ○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.<br>○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.<br>○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |

**გაცემული რეკომენდაცია:** 6.2. უსდმ უზრუნველყოს ინტეგრირებული გეგმის ფორმალური დასრულება (სამეცნიერო, ბიზნეს,სამართლებრივი,პერსონალის ცნობიერების ამაღლება და ა.შ.) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სტრატეგიულ პრიორიტეტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი კომპონენტის გაძლიერება, რაც საყურადღებოა კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის.

განახლდა „სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის დებულება“. დოკუმენტში გაიწერა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მექანიზმები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, პატენტირებისა და ლიცენზირების კუთხით.

გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, უნივერსიტეტში განხორციელდა ნორმატიული ბაზის მოდერნიზება: განახლდა **„სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის დებულება“**. ცვლილებები მიმართულია კვლევითი საქმიანობის ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტიების შექმნისკენ.

დებულების ახალი რედაქციით დაკონკრეტდა ცენტრის ფუნქციური პრიორიტეტები:

- **ბიზნეს-ინკუბაცია:** სტუდენტური და აკადემიური ინოვაციური პროექტების, ბიზნეს-მოდელებისა და სტარტაპების მხარდაჭერა.
- **კომერციალიზაცია და კოლაბორაცია:** კვლევის შედეგების ბაზარზე რეალიზაცია და მჭიდრო პარტნიორობა ბიზნეს სექტორთან.
- **ინტელექტუალური საკუთრების დაცვა:** პერსონალის ცნობიერების ამაღლება პატენტირების, ლიცენზირებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის საკითხებში.

სამართლებრივი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ცენტრს დაეკისრა პასუხისმგებლობა კონფიდენციალურობის რეჟიმის, ავტორობის უფლებებისა და კომერციული ხელშეკრულებების სამართლებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. გარდა ამისა, ცენტრი ახორციელებს შიდა რეგულაციების მუდმივ მონიტორინგსა და ოპტიმიზაციას.

ინსტიტუციურ დონეზე განხორციელებული ცვლილებები ქმნის მყარ საფუძველს სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდისა და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციისთვის. აღნიშნული მექანიზმების დანერგვა ადასტურებს უნივერსიტეტის მზაობას, ეფექტიანად მართოს ინოვაციური ეკოსისტემა და უზრუნველყოს კვლევების პრაქტიკული გამოყენებადობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის დებულება“- განახლებული
- წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი
- ინტერვიუს მასალები

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**გაცემული რეკომენდაცია: 6.3.** უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა ის პერსონალი, ვინც მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად, დადგინდეს ინდივიდუალური განვითარების გეგმას (IDP), სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი კონკრეტული აქტივობები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები, რათა განმავითარებელი რეაგირების შედეგები იყოს გაზომვადი და ანგარიშვალდებული.

უნივერსიტეტმა, გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, მოახდინა **„აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესის“** მოდერნიზება. ცვლილებების მიზანია შეფასების შედეგების ტრანსფორმაცია პერსონალის პროფესიული ზრდის ქმედით ინსტრუმენტად.

რეფორმის ძირითადი ასპექტები მოიცავს:

- **ინდივიდუალური განვითარების გეგმის (IDP) დანერგვა:** იმ პერსონალისთვის, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სამეცნიერო სტანდარტებს, განისაზღვრა IDP-ის შემუშავების ვალდებულება დეპარტამენტის ხელმძღვანელთან კოორდინაციით.
- **გეგმის სტრუქტურა:** IDP ორიენტირებულია კონკრეტულ აქტივობებზე, დროში გაწერილ ვადებზე, მოსალოდნელ შედეგებსა და შესრულების მკაფიო ინდიკატორებზე.
- **ეტაპობრივი რეაგირების მოდელი:** წესით განისაზღვრა რეაგირების სისტემური ჯაჭვი, რაც მოიცავს გაფრთხილებას, დეპარტამენტის დონეზე გადაწყვეტილების მიღებას და განმავითარებელი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდას, პროგრესის სისტემურ მონიტორინგს და შეფასების პროცესის ანგარიშვალდებულებას.

ინსტიტუციურ დონეზე IDP-ის მექანიზმის ინტეგრირება ადასტურებს უნივერსიტეტის მზაობას, შექმნას პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება გახდა გაზომვადი, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება დაწესებულების კვლევითი პოტენციალის ამაღლებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების განახლებული წესი;
- აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების სხდომის ოქმები.
- ინტერვიუს მასალები

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

|  |
| --- |
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

**უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.**

| 7.1 მატერიალური რესურსი |
| --- |
| ○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.<br>○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.<br>○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.<br>○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br><br>**გაცემული რეკომენდაცია:** 7.1.1. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა შენობა და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აქტიურად გამოიყენება პერსონალისა და სტუდენტების მიერ, მოიცავდეს სრულად ადაპტირებულ საპირფარეშოებს, რათა მიღწეულ იქნას სრული ინსტიტუციური ინკლუზიურობა.<br><br>უნივერსიტეტი სისტემურად ახორციელებს ინკლუზიური გარემოს ფორმირებასა და ინფრასტრუქტურულ მოდერნიზაციას. ამ ეტაპზე, სასწავლო კორპუსების უმეტეს ნაწილში სრულად არის უზრუნველყოფილი ადაპტირებული სანიტარული წერტილები და ფიზიკური ხელმისაწვდომობა, რაც ქმნის მზაობას შშმ და სსმ პირთა მისაღებად.<br><br>რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტები მოიცავს:<br><br>• **სერვისების ხელმისაწვდომობა:** ბიბლიოთეკის კორპუსში არსებული სერვისები ადაპტირებულია, ხოლო მიმდინარე რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია დარჩენილი სივრცეების სრული ტექნიკური აღჭურვა.<br>• **ადაპტირებული პროგრამების კონცეფცია:** დაწყებულია მუშაობა ინკლუზიური სპორტული და კლუბური აქტივობების მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე. |

- **ფინანსური დაგეგმვა:** სტრატეგიულ ბიუჯეტირებაში გათვალისწინებულია დამხმარე რესურსები, მათ შორის ჟესტური ენის თარჯიმნებისა და სუბტიტრების მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ ეტაპზე შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტების არარსებობისა, უნივერსიტეტი პროაქტიულად ამზადებს ინფრასტრუქტურულ და პროგრამულ ბაზას, რათა ახალი სივრცეების ამოქმედებისთანავე უზრუნველყოფილი იყოს სრულფასოვანი ინკლუზიური გარემო.

ინსტიტუციის მიერ შერჩეული ეტაპობრივი მოდერნიზაციის გზა და დამხმარე საშუალებების წინასწარი ბიუჯეტირება ადასტურებს უნივერსიტეტის პასუხისმგებლიან მიდგომას საგანმანათლებლო გარემოს ხელმისაწვდომობის სტანდარტებთან მიმართებით, თუმც ფინანსური სიმწირე არ აძლევს ბოლომდე არსებული პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას

**გაცემული რეკომენდაცია:** 7.1.2. დაიწყოს ადაპტირებული სპორტული პროგრამების კონცეფციის შემუშავება და ინკლუზიური ღონისძიებების (კლუბებისა და ორგანიზაციების ჩათვლით) დაგეგმვა, სადაც გათვალისწინებული იქნება დამხმარე საშუალებების (ჟესტური ენის თარჯიმნები, სუბტიტრები) ბიუჯეტირება, რათა ინფრასტრუქტურა მზად იყოს ახალი სივრცის ამოქმედებისთანავე.

გაცემული რეკომენდაციის ფარგლებში, უნივერსიტეტმა უზრუნველყო ინკლუზიური ღონისძიებების მხარდაჭერისთვის აუცილებელი სერვისების ინსტიტუციონალიზაცია. ძირითადი აქცენტები მიმართულია კომუნიკაციური ბარიერების მოხსნასა და ფიზიკური გარემოს განვითარებაზე:

- **საკომუნიკაციო ხელმისაწვდომობა:** გაფორმდა ხელშეკრულება ააიპ „საქართველოს ყრუთა კავშირთან", რაც უზრუნველყოფს ჟესტური ენის დისტანციური თარგმნის სერვისს. აღნიშნული მექანიზმი სრულად შეესაბამება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობას და მიზნად ისახავს სმენის შეზღუდვის მქონე პირთა ჩართულობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.
- **ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია:** მიმდინარეობს ახალი სპორტული სივრცის მოდერნიზაცია. სამუშაოების დასრულების შემდგომ, აღნიშნული ბაზა გამოყენებული იქნება ადაპტირებული სპორტული პროგრამებისა და ინკლუზიური კლუბური აქტივობების განსახორციელებლად.

აღნიშნული ღონისძიებები ადასტურებს უნივერსიტეტის მზაობას, შექმნას თანაბარი პირობები ყველა კატეგორიის ბენეფიციარისთვის, როგორც აკადემიური, ისე არაფორმალური განათლებისა და სპორტის მიმართულებით.

სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან პარტნიორობა და სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტაციაზე ორიენტირებული რეაბილიტაცია მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება

| |
|---|
| რეკომენდაციებს ასრულებს არა ფორმალურად, არამედ გრძელვადიანი მდგრადობისა და სრულფასოვანი ინკლუზიის პრინციპების დაცვით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები:<br><br>• სპორტული სივრცის რეაბილიტაციის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტომასალა.<br>• ხელშეკრულება ააიპ „საქართველოს ყრუთა კავშირთან" (ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებაზე);<br>• ადაპტირებული სპორტული და კლუბური ღონისძიებების ბიუჯეტის პროექტი.<br>• ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა;<br>• ინტერვიუს მასალები |
| რეკომენდაციები:<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები:<br>**მოხდეს შესაბამისი ფინანსური რესურების რაც შეიძლება დროული მოძიება, რომ არსებული მოთხოვნა ბოლომდე სრულყოფილად იქნას დაკმაყოფილებული.**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| შეფასება:<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| 7.2. საბიბლიოთეკო რესურსები |
| ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. |

| |
|---|
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br><br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br><br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **7.3 საინფორმაციო რესურსი** |
| ○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.<br>○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.<br>○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br><br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **7.4 ფინანსური რესურსი** |
| ○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.<br>○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.<br>○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.<br>○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.<br>○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>(არ შეფასებულა) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |

| რჩევები: |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## *დანართი №1:* უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

| № | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით) | ECTS | პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული) | შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეკონომიკა | ქართული | ეკონომიკის ბაკალავრი, 0311.1.1 | 240 | აკრედიტებული | 05.04.2022 #351822 |
| 2 | ეკონომიკა | ქართული | ეკონომიკის მაგისტრი, 0311.1.1 | 120 | აკრედიტებული | 05.04.2022 #351822 |
| 3 | გამოყენებითი ეკონომიკა | ქართული | ეკონომიკის დოქტორი, 0311.1.1 | სამი წელი | აკრედი ტებული | 29.01.2021 #41010 |
| 4 | ბიზნესის ადმინისტრირება | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 0413.1.2 | 180 | აკრედიტებული | 25.02.2025 N467518 |
| 5 | ბიზნესის ადმინისტრირება | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, | 240 | აკრედიტებული | 25.01.2021 #25281 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 0413.1.2 | | | |
| 6 | ბიზნესის ადმინისტრირება | ქართული | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, 0413.1.2 | 120 | აკრედიტებული | 25.02.2025 #467532 |
| 7 | სამართალი | ქართული | სამართლის ბაკალავრი, 0421 | 240 | აკრედიტებული | 12.07.2016 #41 |
| 8 | საჯარო მმართველობა | ქართული | საჯარო მმართველობის ბაკალავრი, 0413.1.3 | 240 | აკრედიტებული | 25.02.2025 #467544 |
| 9 | ტურიზმი | ქართული | ტურიზმის ბაკალავრი, 1015.1.1 | 240 | აკრედიტებული | 30.06.2023 #885079 |
| 10 | სურსათის ტექნოლოგია | ქართული | სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი (0721.1.1) | 240 | აკრედიტებული | 30.12.2025 |
| 11 | აგრონომია | ქართული | აგრონომიის ბაკალავრი (0811.1.1) | 240 | აკრედიტებული | 16.12.2025 N1861089 |
| 12 | აგრონომია | ქართული | აგრონომიის მაგისტრი (0811.1.1) | 120 | აკრედიტებული | 16.12.2025 N1861093 |
| 13 | ბიოლოგია | ქართული | ბიოლოგიის ბაკალავრი (0511.1.1) | 240 | აკრედიტებული | 13.04.2021, #352763 |
| 14 | ინფორმაციული ტექნოლოგიები | ქართული | ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი (0612.1.1.) | 240 | აკრედიტებული | 09.06.2021, #548316 |
| 15 | მევენახეობა და მეღვინეობა | ქართული | მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი (0888.1.1) | 120 | აკრედიტებული | 26.12.2025 N 32503 |
| 16 | ეკოლოგია | ქართული | ეკოლოგიის მაგისტრი | 120 | აკრედიტებული | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | (0521.1.2) | | | 27.06.2025 #856888 |
| 17 | სასურსათო ტექნოლოგია | ქართული | სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი | 30 | აკრედიტებული | 06.07.2022, #769521 |
| 18 | სატყეო საქმე | ქართული | სატყეო საქმის ბაკალავრი (0821.1.1.) | 240 | აკრედიტებული | 28.11.2025 N1779621 |
| 19 | ქართული ფილოლოგია | ქართული | ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი (0232.1.1) | 240 | აკრედიტებული | 14.02.2023 # MES 9 23 000172252 |
| 20 | ინგლისური ფილოლოგია | ქართული | ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი (0231.1.2) | 240 | აკრედიტებული | 15.02.2023 #MES 0 23 0000178437 |
| 21 | ისტორია | ქართული | ისტორიის ბაკალავრი (0222.1.1) | 240 | აკრედიტებული | 16.05.2023 #MES 8 23 0000545158 |
| 22 | ლინგვისტიკა | ქართული | ფილოლოგიის მაგისტრი (0232.1.3) | 120 | აკრედიტებული | 14/02/2023 #MES 2 23 0000172255 |
| 23 | საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია | ქართული | საქართველოს ისტორიის მაგისტრი (0222.2.1) | 120 | აკრედიტებული | #MES 5 23 0000545164 16/05/2023 |
| 24 | ქართულ ენაში მომზადება | ქართული | - | 60 | აკრედიტებული | #245 17.12.2019 |
| 25 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | ქართული | განათლების მაგისტრი 0114 | 300 | აკრედიტებული | 25.07.2025 #15765 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 26 | მასწავლებლის მომზადების პროგრამა | ქართული | მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი 0114 | 60 | აკრედიტებული | 25.07.2025 # 1019588 |
| 27 | ბავშვის უფლებები (ერთობლივი) | ქართული | ბავშვის უფლებების მაგისტრი 0929 | 120 | აკრედიტებული | 05.05.2026 N |
| 28 | განათლების მეცნიერებები (ერთობლივი) | ქართული | განათლების მეცნიერებების დოქტორი 0111.1.1 | 180 | აკრედიტებული | 18.08.2025 N533014 |
| | | | | | | |